saimedoba საიმედობა

„საიმედობა“ ქ. თბილისი გლდანის 1-ლი მ/რ კორპუსი 23 ბინა 101 ტელ. 599 96 31 53 ngejadze@mail.ru

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი დ. თავდადებულის №40 ს/კ 01.10.07.007.141 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი A1 ბლოკის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იყო ქ. თბილისი დ. თავდადებულის №40 ს/კ 01.10.07.007.141 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი A1 ბლოკის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები, შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი დეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება და აგრეთვე პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კონსტრუქტორ ილია მეხრიშვილის მიერ. ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას, ქარის ნორმატიული დაწოლა - 85 კგ/მ^2. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგ/მ^2.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია ინდ. მეწარმე „ბესიკი დევდარიანის“ მიერ. მიწის ნაკვეთი მდგრადია, მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები განვითარებული არ არის. გრუნტის წყლები არ გამოვლენილა.

სამშენებლო ტერიტორიის რელიეფის აბსოლუტური ნიშნულები 501.00 დან 507.00 შორის მერყეობს.

გრუნტის ფენების შემადგენლობა:

ფენა1 - ნიადაგის ფენა და ნაყარი (კვლევის მიხედვით მახასიათებლები არ დასინჯულა),


ფენა2 (სგ-1) – თიხა დია მოყვითალო, ძნელად პლასტიკური (E=200კგ/სმ^2, R=2.5კგ/სმ^2, პუასონის კოეფიციენტი 0.41),


ფენა3 (სგ-2) – ქვიშქვები და სუბარგილიტები თხელშეებრივი, გამოფიტული (Rs=13.9კგ/სმ^2, პუასონის კოეფიციენტი 0.43).

ფენა4 (სგ-3) – ქვიშქვები და სუბარგილიტები თხელშეებრივი, სუსტად გამოფიტული (Rs=162.3კგ/სმ^2 პუასონის კოეფიციენტი 0.43).

ბლოკი 17 სართულიანია მათ შორის 2 სარდაფის სართულია პარკინგისთვის.

პირობითი საპროექტო ნიშნული 0.00 არის პირველი სართულის იატაკის დონე და შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს 504.45.





საძირკვლის დაფუძნება ხდება ფენა4 (სგ3) - ქვიშქვები და სუბარგილიტები თხელშეებრივი, სუსტად გამოფიტული

საპროექტი შენობები გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა ზომებით 21.6×39.1.0 მეტრი (ღერძებში). გააჩნიათ ორ-ორი კიბის უჯრედი. სართულების სიმაღლე: პარკინგის 1-ლი სარულის – 3.0 მ; პარკინგის მე-2 სარულის – 3.7 მ; 1-ლისა - 3.95 მ, დანარჩენი სართულებისა – 3.10 მეტრი.

შენობის რბ-ის კარკასის და სხვა კონსტრუქციული ელემენტები:

- შენობის დაფუძნება ხდება 110 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილაზე. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- კოლონები. ბიჯი 3.9-დან 7.4 მეტრამდეა განივკვეთის ზომებით 40x40სმ, 40x80სმ, 40x60სმ, 40x150სმ, 80x80სმ. 60x60სმ, 40x100სმ, 40x120სმ, 70x80სმ, 60x80სმ, 50x90სმ, გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- რიგელები. განივკვეთებია 40x50სმ, 20x50სმ, 60x50სმ, გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- სარდაფის კედლები სისქით 30სმ. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- სიხისტის დიაფრაგმები სისქით 20სმ, 25სმ. განლაგებულია შენობის როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით, ადის შენობის მთელ სიმაღლეზე. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- სართულშუა გადახურვები. ფილის სისქე 16სმ-ია, გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- კიბეების ბაქნები და მარშები. 16 სმ-ის სისქისაა. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- პანდუსის ფილა სისქით 20სმ. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- წერტილოვანი საძირკვლები პარკინგისთვის. გაბარიტული ზომებით 1600×1600 და 2000×2200 მმ, სიმაღლით 600 მმ. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- საძირკვლის კოჭები პარკინგისთვის, კვეთით 400×500 მმ. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- ლენტური საძირკვლები პარკინგისთვის, სიგანით 1400 მმ, სიმაღლით 500 მმ. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- გადახურვის ფილა პარკინგისთვის სისქით 30სმ. გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192-82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

- კარკასის შევსება (გარე კედლები) და ტიხრები გათვალისწინებულია მსუბუქი ბეტონის წვრილი ბლოკებისგან. წყობა არა ნაკლები მე-2 კატეგორიის.

- სახურავი ბრტყელია და ეწყობა მონოლითური რბ-ის ფილაზე.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა ხისტკვანძებიან მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოიან სისტემას წარმოადგენს. ძირითად მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური კარკასი, ჰორიზონტალური მიმართულებით კარკასის სიმტკიცეს და მდგრადობას, სვეტებსა და დიაფრაგმებთან ერთად, უზრუნველყოფს მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის წიბოვანი ფილები სისქით 16 და 20 სმ და მონოლითური რკინაბეტონისა შენობაში არსებული კიბეები.

კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი (ГОСТ25192 - 82), არმატურა კლასით A500C; A240C (ДСТУ 3760-98).

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ, დროებით ხანგრძლივ, დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვებზე, ჰორიზონტალურ სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. საანგარიშო სქემაში საძირკვლის ფუძის გრუნტების მუშაობა, შენობის საანგარიშო მოდელი დაპროექტებისათვის მისაღები სიზუსტით შესაძლოდ სრულად აღწერს ნაგებობის მუშაობის სურათს. შენობის გაანგარიშება შესრულებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით ЛИРА-САПР 2013 R3-ის გამოყენებით, სამშენებლო ნორმები და წესები "სეისმომედეგი მშენებლობა"(პნ 01.01–09)-ის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია საექსპერტიზოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების მაღალი დონე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები, კონსტრუქციების დაარმატურებები, დამახასიათებელი დეტალები და კვანძები. მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები. განხორციელდა კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება-მორგება არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ კლიმატოლოგიურ, გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ პირობებთან.

პროექტის ექსპერტიზის ჩატარების პროცესში პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებული იყო ექსპერტის შენიშვნები და სათანადო კორექტივები შეტანილი იყო პროექტში.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი დ. თავდადებულის №40 ს/კ 01.10.07.007.141 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი A1 ბლოკის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი
nodargejadze@gmail.com
599-96-31-53

ნოდარ გეჯაძე

14.01. 2023წ.



მონაცემები პროფესიული გამოცდილების შესახებ

1	პირადი მონაცემები	
ა	სახელი, მამის სახელი, გვარი	ნოდარ ვახტანგის ძე გეჯაძე
ბ	დაბადების თარიღი, ადგილი	23 თებერვალი 1950 წელი. ქ. თბილისი
გ	მოქალაქეობა	ქართული

2	საპასპორტო მონაცემები	
ა	ნომერი	131G23078
ბ	პირადი ნომერი	01001000764
გ	მისამართი	თბილისი, გლდანის 1-ლი მიკრორაიონი, კორპუსი 23, ბინა 101
დ	გამცემი ორგანო	იუსტიციის სამინისტრო
ე	გაცემის თარიღი	03. 09. 2014წ.

3	საკონტაქტო კოორდინატები	
ა	ტელეფონი (ბინა)	2 30 53 12
ბ	ტელეფონი (სამსახური)	
გ	მობილური	599 963153
დ	ფაქსი	
ე	ელ. ფოსტა	ngejadze@mail.ru nodargejadze@gmail.com

4	განათლება	
ა	როდის, რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ (დიპლომის №)	1972წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი y № 001318
ბ	სპეციალობა დიპლომის მიხედვით	სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა
გ	სამეცნიერო ხარისხი (დიპლომის №)	
დ	ტრეინინგები	TACIS-ის სახელმწიფო მოხელეთა კოლეჯში 1996წ. მოისმინა საბაზრო ეკონომიკის, ზოგადი მენეჯმენტის, ფინანსების მენეჯმენტის, სანფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიის კურსები.

5	უცხო ენების ცოდნა			
	უცხო ენა	დამწყები	გკითხულობ და ვთარგმნი ლექსიკონით	ვწერ და ვსაუბრობ თავისუფლად
ა	რუსული			☐

ბ	გერმანული		☐	
გ	ინგლისური		☐	

6	კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები			
	პროგრამები	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი
ა	Microsoft Word		☐	
ბ	Microsoft Excel		☐	
გ	Microsoft Power Point			
დ	Outlook Express		☐	
ე	Microsoft Access			
ვ	Internet		☐	
ზ	Autocad		☐	
თ	PK Lira		☐	
ი	Monomax		☐	

7	დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი	
ა	სამხედროვალდებულება	არა
ბ	მიუთითეთ წოდება	თადარიგის უფროსი ლეიტენანტი
გ	სამსახურის გავლის წლები	
დ	ბრძოლებში მონაწილეობა	
ე	სამხედრო ჯილდოები	

8	პროფესიული გამოცდილება			
	მუშაობის პერიოდი	კომპანია/ორგანიზაცია (მისამართი და ტელეფონი)	თანამდებობა	მოვალეობათა აღწერა
ა	1972 – 1982წ.	ინსტიტუტი „საქგიპრომშახტი" (ყოფილი)	ინჟინერი, უფრ. ინჟინერი, ჯგ-ის ხელ-ლი, მთ. სპეციალისტი, ***მთ. კონსტრუქტორი***	შენობა - ნაგებობათა დაპროექტება
ბ	1982 – 1984წ.	საქართველოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი „სახმშენი" (ყოფილი)	პროექტების ექსპერტიზის ***განყოფილების უფროსი***	მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის ჩატარება
გ	1984 – 1989წ.	საქართველოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი „სახმშენი" (ყოფილი)	***განყოფილების უფროსი***	სამშენებლო საწარმოების პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება
დ	1989 – 1991წ.	საქართველოს სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი (ყოფილი)	სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის ***მთ. სპეციალისტი***	საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების, მშენებლობის ხარისხის შემოწმება
ე	1991 – 1996წ.	საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო (ყოფილი)	მშენებლობის სახელმწიფო ინსპექციის ***უფროსის მოადგილე***	საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების, მშენებლობის ხარისხის შემოწმება
ვ	1996 – 2002წ.	საქართველოს ურბანიზაციისა	არქიტექტურულ-	მშენებლობის ობიექტებზე

		და მშენებლობის სამინისტრო (ყოფილი)	სამშენებლო ინსპექციის ***უფროსის მოადგილე***	ზედამხედველობის განხორციელება, სამშენებლო დარგში ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება
ზ	2002 – 2004წ 23 აპრილამდე	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–მთავარი არქმშენინსპექცია (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16)	მთავარი არქმშენინსპექცი-ის ***უფროსის მოადგილე***	მშენებლობის ობიექტებზე ზედამხედველობის განხორციელება, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება
თ	2004 წლის 29 ივნისიდან 2005 წლამდე	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–მთავარი არქმშენინსპექცია (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16)	***ექსპერტი***	მშენებლობის ობიექტებზე ზედამხედველობის განხორციელება, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება
ი	2005 წლიდან 2005 წლის 18 აპრილამდე	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–მთავარი არქმშენინსპექცია (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16)	***მთ. სპეციალისტი***	მშენებლობის ობიექტებზე ზედამხედველობის განხორციელება, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება
კ	2005 წლის 25 მაისიდან 21 ივლისამდე	შპს "არქსტუდია" (ქ. თბილისი, ზაქარიაძის ქ. №8 ტ..29 28 73)	***ინჟინერ-კონსტრუქტორი***	შენობა-ნაგებობების დაპროექტება
ლ	2005 წლის ოქტომბრიდან 2006 წლის 31 ოქტომბრამდე	შპს "არქსტუდია" (ქ. თბილისი, ზაქარიაძის ქ. №8 ტ..29 28 73)	მშენებლობის მართვის სამსახურის ***ტექნიკური განყოფილების უფროსი***	შენობა-ნაგებობების დაპროექტება და მშენებლობის წარმოების მართვა
მ	2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1-ლ ივლისამდე	შპს "არქსტუდია ამ"	***ტექნიკური განყოფილების მენეჯერი***	შენობა-ნაგებობების დაპროექტება და მშენებლობის წარმოების მართვა
ნ	2007 წლის მარტიდან 2008 წლის მარტამდე	შპს "ლინქსი,, (მთაწმინდის პარკის მშენებლობა-რეკონსტრუქცია)	***მონიტორინგის ჯგუფის წევრი, ტექნიკური ზედამხედველი***	შენობა-ნაგებობების დაპროექტებაზე და მშენებლობის წარმოების მართვაზე მონიტორინგის განხორციელება. ზედამხედველობა
ო	2008 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე	შპს "მშენებელი 2004,, (ქ.თბილისი, გალაქტიონის ქ.№7)	***ტექნიკური ზედამხედველი***	მშენებლობის წარმოების მართვა
პ	2009 წლის დეკემბრიდან 2010წლის მაისამდე	ძველი თბილისის განვითარების ფონდი	***კონსტრუქტორი, ზედამხედველი***	დ. აღმაშენებლის გამზ. შენობების აღდგენა-გამაგრება
ჟ	2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის დეკემბრამდე	შპს "რემო 1" ქ. თბილისი, გამრეკელის 8 ტ 42 39 78	***პროექტის მენეჯერი (მშენებლობის უფროსი)***	„KNAUF"-ის ქარხნის თაბაშირის სახარში საამქროს რეკონსტრუქციის მშენებლობის გაძღოლა
რ	2012 წლიდან 2015 წლის მაისამდე	შპს "არტსტუდიო პროექტი" ქ. თბილისი, გ. ტაბიძის 3/5 ტ 91 52 57 91 52 54	***ინჟინერ-კონსტრუქტორი***	შენობა - ნაგებობათა დაპროექტება